სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები დაათვალიერეს

ლანჩხუთის მერმა ალექსანდრე სარიშვილმა, მოადგილე თორნიკე ტიკაძესთან ერთად,

ჩოჩხათის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები დაათვალიერა, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს.

სოფელ კოკათში 3, 5 კმ სიგრძის ბეტონის გზა იგება, რისთვისაც 1 165 657 ლარი დაიხარჯება.

სოფელ ხორეთში მიმდინარეობს სანიაღვრე არხების მოწყობისა და ნაპირსამაგრი სამუშაოები.

აღნიშნული პროექტის განსახორციელებლად ჯამში 659 798 ლარი დაიხარჯება.

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 8 (10494) 7 მაისი 2025 წ. ფასი 1 ლარი.

ვახტანგ გომელაურმა გურიის პოლიციის დეპარტამენტში სამუშაო თათბირი გამართა

შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით ვახტანგ გომელაური გურიაში იმყოფებოდა

ვიცე-პრემიერმა, შინაგან საქმეთა მინისტრმა, **ვახტანგ გომელაურმა** და მინისტრის პირველმა მოადგილემ **როლანდ მესხმა,** გურიის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართეს.

ვახტანგ გომელაურმა რეგიონის პოლიციის დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირებისგან მათ სამოქმედო ტერიტორიაზე დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, საპოლიციო პრევენციული ღონისძიებების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოისმინა და სამუშაო პროცესთან დაკავშირებით შესაბამისი დავალებები მისცა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონში დანაშაულის სტატისტიკას და გახსნის მაჩვენებელს.

ვახტანგ გომელაურმა გურიის რეგიონში, დიდთოვლობის დროს გაწეული სამუშაოსთვის, პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებს მადლობა გადაუხადა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სამუშაო თათბირზე, ასევე, ყურადღება გაამახვილა სამინისტროს პრიორიტეტულ მიმართულებებზე, — ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის გავრცელებულ ინფორმაციაში.

მეორე მსოფლიო ომის ერთადერთი ვეტერანი 100 წლისაა

ალიონი. 9 მაისს 80 წელი სრულდება ანტიფაშისტური კოალიციის (ყოფილი სსრკ, აშშ, ინგლისი, საფრანგეთი) ვერმახტზე გამარჯვებიდან, სისხლისმღვრელ ომში, რომელმაც 60 მილიონამდე ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ფაშისტურმა იდეოლოგიამ განაპირობა ურიცხვი სამხედრო დანაშაული და მშვიდობიან მოსახლეობაზე სისტემატური ძალადობა, რომელიც გენოციდშიც გადაიზარდა. ჰოლოკოსტის სახელითაა ცნობილი გერმანიის ნაცისტური ხელისუფლების და მისი მოკავშირეების მიერ განხორციელებული ებრაელების, ბოშების, სხვადასხვა უმცირესობების მასობრივი გენოციდი.

საქართველოდან ფრონტზე დაახლოებით 700 000 კაცი წავიდა. ეს 40-იან წლებში ქვეყნის მოსახლეობის მეხუთედი იყო. მათგან ნახევარი ამ ომში დაიღუპა ან უგზო უკვლოდ დაიკარგა.

ოზურგეთიდან მეორე მსოფლიო ომში 11 653 ადამიანი გაიწვიეს, საიდანაც ნახევარზე მეტი დაიღუპა.

ყოველწლიურად თანდათან თხელდებოდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების რიგები და ახლა მუნიციპალიტეტში მხოლოდ ომის ერთადერთი ცოცხალი მონაწილე გვყავს —სოფელ მერიიდან **შოთა გოგატაძე,** რომელსაც ამ დღეებში დაბადებიდან 100 წელი შეუსრულდება.

— მუხედავად იმისა, რომ ფრონტზე რამდენჯერმე მძიმედ დაიჭრა, ფიზიკურად საკმაოდ სუსტადაა, ადრე დილიდან ფუსფუსებს, ცდილობს საოჯახო საქმეებში მიიღოს მონაწილეობა. გუშინ ეზოში მუშაობისას დაიმტვრა და დღეს წევს —გვითხრა ბატონი შოთას ქალიშვილმა ნონამ. თუმცა დაგვაიმედა, რომ მამამისს გონება, სმენა და მეხსიერება კვლავ ახალგაზრდულად უჭრის და საუბარს შეძლებდა.

—1925 წლის 15 მაისს დავიბადე. მამა —დიმიტრი ადრე გარდამეცვალა. დედა— მარო, მოწინავე მეჩაიე იყო...ომის საშინელებამ ჩვენი თაობის თვალწინ ჩაიარა. სკოლის მოსწავლე ვიყავი, ომი რომ გამოცხადდა. სკოლაშიც ვწავლობდით და უფროსკლასელები კოლმეურნეობაში შრომით საქმიანობაშიც ვიყავით ჩართულები. ბიჭებს ფრონტისკენ მიგვიწევდა გული. 1943 წელს, სკოლის დამთავრებისთანავე, სკოლის მერხიდან ომში წავედი.

უკრაინის პირველი ფრონტის შემადგენლობაში იყვნენ ჩვენი ქვეითები. კიევის დაბრუნებისათვის ვიბრძოდით. ძალიან დიდი ბრძოლები მიმდინარეობდა. დავიჭერი...ქალაქ გორკში ვიწექი ჰოსპიტალში... ჭრილობები რომ მოვიშუშე, ბელორუსიის ფრონტზე გამგზავნეს. აქ 1944 წლის ივნისში დაიწყო ოპერაცია „ბაგრატიონი“, ქ. ვიტებსკის გათავისუფლებისთვის გააფთრებულ ბრძოლებში ვმონაწილეობდი..მძიმედ დავიჭერი. ამჯერად ივანოვოს ოლქში, რაზდლიკის სამხედრო ჰოსპიტალში გამგზავნეს . სხეულიდან ნაღმის ნარჩენები ექიმების რჩევით არ ამოიღეს, მთხრეს სიცოცხლისთვის საშიში არ იყო, ხოლო მისი შინაგან ორგანოებიდან ამოღება შეიძლება მომაკვდინებელი ყოფილიყო.. თუმცა მთელი ცხოვრება სულ მახსენებდა ტკივილი თავს..

1944 წლის ბოლოს ჰოსპიტალიდან გამომწერეს და სახლში გამომშვეს. ჯერ 20 წელიც არ შემსრულებოდა და შრომითი საქმიანობისათვის ინვალიდი ვიყავი. ჯერ სახლში ვმუშაობდი. შემდეგ საპარკეზე დავიწყე

გვ—3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 150 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 200-200 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 400 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 400 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 70 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 30ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 30 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 80 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 3,20 ლარი,
სამი თვით – 9,60 ლარი,
6 თვით –16 ლარი,
ერთი წლით – 32 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი

ნუგზარ ასათიანი

nugzarasatiani15@gmail.com

558 499100

კომპიუტერული უზრუნველყოფა

გიორგი გოგოლაძე

gia_77@mail.ru

551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3

ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“

მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ოზურგეთის საკრებულოს სხდომაზე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ 6 საკითხზე იმსჯელეს.

სხდომას საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია** უძღვებოდა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით დამტკიცდა შემდეგი განკარგულების პროექტები: „ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;“ „ სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების დამტკიცების შესახებ;“ და „ მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის დამტკიცების თაობაზე.“

ასევე, საკრებულომ მოისმინა და ცნობად მიიღო ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული ქონების (სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო დანიშნულების მიწა, შენობა-ნაგებობები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვა) ეფექტური გამოყენების ღონისძიებების შესახებ და 2024 წელს ა(ა)ი.პ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ სოციალური უზრუნველყოფის პროგრამების განხორციელების შედეგები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე

30 აპრილს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე **ბესიკ ტაბიძე** უძღვებოდა.

საკრებულოს სხდომას მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი** ესწრებოდა.

სხდომაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ შემდეგ საკითხებზე იმსჯელეს:

. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“. (მომხსენებელი შოთა ჩაგუნავა);

. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 2025 წელს დასაფინანსებელი პროექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“. (მომხსენებელი ალეკო კირვალიძე);

. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ“. (მომხსენებელი ალექსანდრე სარიშვილი, თანამომხსენებელი როლანდ ლაშხია);

. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 24 დეკემბრის 16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობა-ზე“. (მომხსენებელი როლანდ ლაშხია)

ძირითადი საკითხების დასრულების შემდეგ საკრებულოს წევრებმა მუნიციპალიტეტში არსებულ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე იმსჯელეს.

თემატური ბანაკების განხორციელება დაიწყო

სსიპ ახალგაზრდობის სააგენტომ „ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში, თემატური ბანაკების განხორციელება დაიწყო, რომელშიც ჩოხატაურის ახალგაზრდული საბჭოს წევრთა ჯგუფი გაემგზავრა.

ბანაკი ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაზაზე იმართება და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს, მონაწილეობა მიიღონ მრავალფეროვან საგანმანათლებლო და გასართობ აქტივობებში.

მოსწავლეებს მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ და წარმატებები უსურვეს.

სოფელ შრომაში ისტორიული შენობის სრული რეაბილიტაცია მიმდინარეობს

ოზურგეთის მერი ავთანდილ თალაკვაძე, სოფელ შრომაში, კულტურის სახლის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროცესს გაეცნო.

მერმა მიმდინარე სამუშაოები დაათვალიერა და ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას.

„ისტორიული შენობა, რომელსაც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი აქვს, 1956 წელს აშენდა. ის საქართველოში კულტურის სახლებს შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეულია და წლებია, აღდგენას და განახლებას საჭიროებდა. პროექტის განხორციელებისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილეს, ქალბატონ თეა წულუკიანს. მადლობა საქართველოს კულტურის სამინისტროსა და მინისტრს პროექტის განგრძობითი მხარდაჭერისთვის,“- განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ.**

სოფელ შრომაში ოზურგეთის მერთან ერთად იმყოფებოდნენ მერის მოადგილეები, **გიორგი ღურჯუმელიძე** და **ნიკა ბოლქვაძე**, ასევე - საკრებულოს წევრები.

ისტორიული შენობის სრული რეაბილიტაციის ფარგლებში მიმდინარეობს უნიკალური შიდა სივრცეების აღდგენა, შენობის გაწმენდა, გამაგრება, რესტავრაცია, სახურავის რეკონსტრუქცია, ასევე, ტერიტორიის კეთილმოწყობა; სრულად შენარჩუნდება და აღდგება ძეგლის ისტორიული იერსახე.

პროექტს, რომლის ბიუჯეტი 2 565 000 ლარია, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ახორციელებს.

მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიაში სამუშაო შეხვედრა შედგა, რომელსაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი **გიორგი ქინქლაძე** დაესწრო, რომელმაც მიწის სისტემური რეგისტრაციის მიმდინარეობის შესახებ ისაუბრა.

შეხვედრაზე დაისვა შეკითხვები, რომლებსაც ამომწურავი პასუხები გაეცა.

მთავრობის გადაწყვეტილებით, მიწის სისტემური რეგისტრაციის რეფორმა 2025 წლის ბოლომდე გრძელდება. მოქალაქეებს, რომლებმაც ვერ მოახერხეს რეფორმაში ჩართვა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო შესაძლებლობას აძლევს 2025 წლის ბოლომდე, სრულიად უფასოდ აზომონ და დაირეგისტრირონ მიწის ნაკვეთი.

შეხვედრას მუნიციპალიტეტის მერი **ალექსანდრე სარიშვილი,** ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა** და ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსი **ირაკლი ხუხუნაიშვილი** დაესწრნენ.

მეორე მსოფლიო ომის ერთადერთი ვეტერანი 100 წლისაა

ომის მონაწილეები შინამოუსვლელთა გორაზე (გოგორეთში) დგას (მარჯვნიდან მეოთხე) შოთა გოგატაძე. 9 მაისი, 1987 წ.

შრომითი საქმიანობა...

გავიდა წლები. თანდათან ვიშუშებდი ამ ომისგან მოყენებულ სულიერ და ფიზიკურ ჭრილობებს. შემდეგ თანასოფლელი გოგონა გავიცანი – ლიანა ვასაძე და სოფლის ამ უბანში დავმკვიდრდი. –სვენებ-სვენებით გვიყვება ბატონი შოთა გოგატაძე.

ჩვენს საუბარში ბატონი შოთას უმცროსი მეგობარი **ვახტანგ მარგალიტაძე** ჩაერთო: *–რამდენიმე წელი საპრკეზე ერთად ვიმუშავეთ. ზოგადად, ჩვენს თაობას შრომა არ ეთაკილებოდა. ვმუშაობდი მყნობელად, ნახრის ვმწყემსავდი, ცხენის წინამძღოლი ვიყავი. შემდეგ უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრე და ვიყავი კოლმეურნეობის ბრიგადირი, შემდეგ აგრონომი.*

ბატონი შოთას და სხვა ომის ვეტერანების მხარდაჭერით 40 წლის წინ სოფლის ცენტრში მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა მემორიალი მოვაწყვეთ, ხოლო ომში დაღუპულთა და ომიდან დაბრუნებულთა ეზოს შესასვლელში – მემორიალი დაფები შესაბამისი წარწერით: ,,აქ ცხოვრობს ომში დაღუპულის ოჯახი"; ,,აქ ცხოვრობს დიდი სამამულო ომის ვეტერანი"...ძალი ცხოვრებაა ვმეგობრობთ – ამბობს ვახტანგ მარგალიტაძე.

შოთას უფროსი ვაჟი თამაზი, პროფესიით ინჟინერი –უცხოეთში ცხოვრობს. ოჯახში უმცროსი ქალიშვილი ნონაა, რომელიც პროფესიით ინჟინერ ქიმიკოსია და წლების მანძილზე მუშაობდა ანასეულის ექსპერიმენტულ ჩაის ფაბრიკაში თავისი სპეციალობის მიხედვით, ახლა კი მამას უვლის.

–დედა მოწინავე კოლმეურნე იყო. სულ შრომობდა. სამწუხაროდ, გარდაიცვალა და ახლა მე ვუვლი მამას –გვითხრა ნონამ.

ჯილდოებსაც გადავხედეთ. ,,დიდი სამამულო ომის ორდენი," სხვა საბრძოლო და საიუბილეო მედლები აქვს. ბატონ შოთას მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებიდან 80 წელთან დაკავშირებითაც უკვე მიუღია საიუბილეო მედალი.

–საოცარი ოჯახია. ადრე, როცა შეეძლო, ქ. ოზურგეთშიც ესწრებოდა საიუბილეო შეხვედრებს და სკოლებშიც იწვევდნენ. ომში გამარჯვების დღეს აქ სულ იმართება შეხვედრები. ომში დაღუპულებს იხსენებენ. უბრალო და სტუმართმოყვარე ოჯახია – გვეუბნება ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელი სოფელ მერიაში **ზაზა ბაქანიძე.**

ომის ვეტერანი მერია, კონჭკათი, თხინვალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **გელა არაშიძემაც** მოინახულა. ახლა ისინი მეორე მსოფლიო ომის ერთადერთი ვეტერანის 100 წლის იუბილის აღსანიშნავად ემზადებიან.

ნუგზარ ასათიანი

მადლობის მაგიერ...

ეს ამბავი 25 აპრილს შემემთხვა. სამსახურის დამთავრების შემდეგ, სახლში მივდიოდი,აღმაშენებლის ქუჩის დასაწყისში, ხელმარხცხნივ, სადაც ყვავილების მაღაზიაა თეთრი მანქანა იდგა (ნომერი 717; სერია და მარკით არ დავინტერესებულვარ) მანქანათან საფულე ეგდო.ავიღე, გავხსენი შიგ ბევრი ფული იდო და დოკუმენტები. ამ დროს ქალბატონმა მარინამ გამოიარა,(გვარს შეგნებულად არ ვასახელებ, ის ღირსეული ქალბატონია და მისთვის ნებართვა არ მითხოვია), და ვეუბნები: – რამდენი ფულია და მისი პატრონი როგორ ინერვიულებს მეთქი. თურმე ნუ იტყვით და საქმე სანერვილოდ მე მაქვს. იქვე მაქანასთან ვიდექით და საფულში არსებული დოკუმენტებით პატრონის ვინაობას ვარკვევდით. პირადობით იყო ახალგაზრდა გოგონა, გვარად ცეცხლაძე.

შევედით პირველსავე ყვავილების მაღაზიაში და ვიკითხეთ ვისი იყო მანქანა. ახალგაზრდა ქალმა გვიპასუხა– ჩემიო . ვეკითხები:- რა გვარი ხართ მეთქი-მიპასუხა მამალაძეო. რა იყოო – და არაფერი მეთქი. გვარი არ დაემთხვა დოკუმენტებში აღნიშნულ გვარს და წამოვედით. (საფული პოვნის ეს მესამე შემთხვევა მქონდა .ერთი ბათუმში ვიპოვე და როცა ქალმა დაინახა, დაიწყო ყვირილი, ჩემიაო და იმ წუთში მივეცი. მითხრეს, რომ თურმე უნდა ჰკითხო – თანხა რამდენი გაქვსო; მეორე შემთხვევა ოზურგეთში, იმ დროს, როცა ბენზინს ქუჩაში ყიდნენ გაკირულზე , საფულეში 65 თუ 70 მანეთი იყო. ყოფილი კომკავშირის ქუჩის კვეთაში დავეწიე ასაკოვან ქალს და მივეცი საფულე, რომ ნამდვილად მისი იყო, გაკირულის მაღაზიაში დამიდასტურეს, პური იყიდა ჩვენთანო).

ის იყო მეორე მაღაზიაში უნდა შევსულიყავით,რომ მორბის მაღაზიის გამყიდველი თუ მეპატრონე, არ ვიცი და ახალგაზრდა, რომელიც ნაყინს მირთმევდა,ისე, ნაყინის მირთმევა არ შეუწყვეტია ,ყვავილების გამყიდველი მეუბნება, ხელების ჟესტუკულაციით მომეცი საფულე, თუ არა პატრულს დაუძახებო(?!)

ქალბატონი მარინა გაბრაზდა – პატრულს კი არა ვისაც გინდა იმას დაუძახეო.

ახალგახრდა გოგონა ნაყინის მირთმევას განაგრძობდა და არაფერს ამბობდა, მისი სახე პირადობაზე აღბეჭდილ ფოტოს ემთხვევოდა და ვეკითხები: – თანხა რამდენი იყო მეთქი. მითხრა – 900 ლარიო. საფულე რა თქმა უნდა იმ წამსვე მივეცი. ყვავილების გამყიდველმა მადლობის მაგივრად მოგვაძახა:,,თქვენ ორავე დებილები ხართო" და წავიდნენ.

ჩვენ ორი ,,დებილი" სახტად დარჩენილები და შეურაცყოფილნი წავედით ჩვენს- ჩვენს სახლებში.

საზოგადოებას ვთხოვ გაითვალისწინოთ ჩემი შემთხვევა და ჩემსავით რომ არ ინერვიულოთ, მსგავს სიტუაციაში მიმართეთ პატრულს.

მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ადმინისტრირების შესახებ

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მუნიციპალიტეტში ბალანსზე რიცხული ოჯარით გაცემული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მიზნობრივად გამოყენებისა და საიჯარო ქირის ადმინისტრირების შესახებ ინფ-ორმაცია მოისმინეს, რომელიც საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარე **დავით ჭაანელიძემ** წარმოადგინა.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა,ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მიეკუ-თვნება მცირე მიწიან მუნიციპალიტეტების რიცხვს. ერთ სულ მოსახლეზე მოდის დაახლოებით 2,7 ჰექტარი მიწის ფართობი. მათ შორის: სასოფლო-სამ-ეურნეო დანიშნულების 0,33 ჰა, არას-ასოფლოსამეურნეო დანიშნულების 0,12 ჰა.

მუნიციპალიტეტისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მიწის სავარგულების გამოყენების რაციონალიზაცია, მისი პოტენციალის მაქსიმალური გამოყენება.

მიწის რესურსების ეფექტური გამოყენების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გზაა მიწის ოჯარით გაცემა და მისი მიზნობრივი გამოყენების პროცესების სრულფასოვანი მართვა. გარდა იმისა,რომ მიწის ნაკვეთების ოჯარით გაცემიდან მიღებული შემოსავალი ზრდის ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობების ოდენობას, ამასთან იგი საიჯარო მიწის ნაკვეთების მოვლა-პატრონობისა და დაცვის უნიკალური საშუალებაა.

დავით ჭაანელიძის თქმით მიმდინარე პერიოდისათვის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ სასოფლო-სამეურნეო და არასასოფლო დანიშნულების მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლებით ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემის შესახებ გაფორმებულია 73 ხელ-შეკრულება:

–ოჯარით გაცემაზე –41 ხელშეკრულება, მათ შორის 5 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე; 20 აღნაგობის ხელშეკრულებითაა გაფორმებული; უზუფრუქტით –10 ხელშეკრულება; თხოვების ფორმით და სერვიტუტით დატვირთული –2 ხელშეკრულება.

ამჟამად მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხება 138,8 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, საიდანაც ოჯარით გაცემულია 10,8 ჰექტარი, ანუ მხოლოდ 7,8 პროცენტი. 128 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არ არის ჩართული სამეურნეო ბრუნვაშ, ან ჩართულია საკუთრების კანონიერი უფლების გარეშე.

მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის საერთო ფართობი შეადგენდა 242,7 ჰექტარს, მათ შორის ოჯარით გაცემულია მხოლოდ 1,5 ჰექტარი, ანუ საერთო ფართობის 1,5 პროცენტი. გასულ საანგარიშო წლებში ოჯარის ქირის პოზიციიდან მუნიციპალიტეტის



ბიუჯეტში მობილიზებულია 120 259 ლარი, თუმცა საიჯარო დავალიანება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 40 981 ლარს შეადგენს. ოჯარით გაცემული მიწებისა და შენობა ნაგებობების ქირის საშუალო წლიური ოდენობა 88 748 ლარს შეადგენს. ამის გამო მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციამ გაატარა გარკვეული ქმედითი ღონისძიებები საიჯარო ქირის ამოღებისათვის. დავით ჭაანელიძემ საკრებულოს მუნიციპალიტეტის მერიის მიერ ოჯარით გაცემული მის ბალანსზე რიცხული მიწებისა და შენობა-ნაგებობების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ტენდეციების შესახებ რეკომენდაციები წარმოადგინა.

საკრებულომ ცნობად მიიღო წარმოდგენილი ინფორმაცია.

ჩოხატაურში შშმ პირების ოჯახებისა და ოზარდებისთვის თერაპიული პროგრამის მესამე ეტაპი იწყება

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე არასრულწლოვანი პირების მშობლებისთვის და ასევე, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოზარდებისთვის სპეციალური თერაპიული პროგრამის მეორე ეტაპი დასრულდა და 2025 წლის მაისიდან მესამე ეტაპი იწყება. პროექტის ,,ვისწავლოთ, ვიმუშავოთ, ვიმოქმედოთ ერთად" დას-კვნითი ღონისძიება ჩოხატაურში გაიმა-რთა, რომლის ფარგლებშიც პროექტის ინიციატორებმა და ორგანიზატორებმა შეაჯამეს გასული წლის საქმიანობა და მესამე ეტაპის დაწყება დააანონსეს.

,,მნიშვნელოვანია, რომ პროექტი ვითარდება წლიდან წლამდე. თუ პირველ წელს ამოცანა იყო მშობლებთან კომუნიკაციის დამყარება და მათთვის ისეთი გარემოს შექმნა, სადაც ხმამაღლა ისაუბრებდნენ გამოწვევებზე, მეორე წელს ჩვენ ვზრუნავდით და ვასწავლიდით ადამიანებს მოქმედებას, ასევე, ვცდილო-ბდით გვეჩვენებინა განვითარების პერსპექტივები. მესამე წელს, პროექტის ფარგლებშიც გავაგრძე-ლებთ ზრუნვას მშობლების გან-ლიერებაზე, პროექტი და ჩვენი თითოეული აქტივობა კვლავ მიმართული იქნება შშმ ბავშვებისთვის მეტი შესაძლებლობების შექმნაზე. დღეს გაც-ილებით წინ ვართ ვიდრე 2 წლის წინ ვიყავით და გვახარებს ის ფაქტი, რომ ჩვენი მხარდამჭერების თანადგომით ვაგრძელებთ ამ პროექტს კიდევ ერთი წლით" – აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაციის ,,ქალები ქალებისთვის" საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი **მაკა შანიძე.**

,,ბახვი ჰესის სოციალური პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტები გამოირჩევა იმით, რომ მდგრადია და მათი განვითარება თანმიმდევრუ-ლად ხდება. ვფიქრობთ, ამ ტიპის მიდგომა მსგავსი პროექტების განხორციელებისას იძლევა შედეგს და მოაქვს რეალური ცვლილება. დღეს უკვე, მაგალითებით შეგვიძია მოვყვეთ, თუ რა ხდებოდა პირველ წელს და სად ვართ დღეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ორგანიზატორებმა და მშობლებმა ერთობლივი მუშაობით და თერაპიებით, შეძლეს და დაამსხვრიეს სტიგმა, შეცვალეს აღქმა და შეხედულება, გაცილებით ძლირები და ბედნიერები არიან დღეს, რადგან გაუჩნ-დათ მომავლის ხედვა. ასევე, მნიშვნე-ლოვანია ის პარტნიორობა, რომელიც ამ პროექტის ფარგლებში შედგა კერძო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის. ჩვენ ერთობლივად ვზრუნავთ და ვგულშემატკივრობთ პროექტს და გვახარებს ის ფაქტი, რომ გვაქვს საშუალება კიდევ ერთი წლით გავაგრძე-ლოთ ჩვენი მხადაჭერა" - განაცხადა ბახვი ჰესის საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელმა, **ნიცა ჩოლოყაშ-ვილმა.**

მშობელთა კლუბს 13 ახალი მშობელი შემოუერთდა. 2025 წლის პროგრამას 25 აქტიური ბენეფიციარი ეყოლება. 2025 წლის პირველი შეხვედრები კი მაისი თვეში გაიმართება.

საანგარიშო შეხვედრის დასასრულს გაიმართა საბავშვო სპექტაკლი, რომელიც სპეციალური საჭიროებების მქონე ბავშვებმა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა ერთად წარადგინეს. ღონისძიებას ბენეფიციარებთან ერთად ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და კომპანია ბახვი ჰესის წარმომადგენლები.

დაფინანსებული ფართი

„მომწყურდი საოცარი ძალით“

უცხო ენათა ინსტიტუტის პრორექტორი გოგი შიოშვილი დიდებული ადამიანი აღმოჩნდა, მან განსაკუთრებული როლი შეასრულა ჩვენი ცხოვრების გზაზე. ჯერ კიდევ 1965 წლის იანვარში, როცა კონსერვატორიაში გამოცდების ჩაბარებამდე რჩებოდა რაღაც 4 - 5 თვე, ბატონმა გოგიმ მიგვამაგრა ინგლისური ენის მასწავლებელთან, ახალგაზრდა ასპირანტ ქალთან, რომელიც კვირაში სამჯერ, სამი საათის განმავლობაში გვიტარებდა გაკვეთილებს. ამ გაკვეთილებმა გასაოცარი შედეგები გამოიღო. გაკვეთილებზე სიარულის დროს გაირკვა, რომ ინსტიტუტში უკვე

ანდღულაძეებთან მთაწმინდაზე

რეპეტიციებს ატარებდა რობერტ ბარძიმაშვილი და მის საესტრადო ანსამბლში მღეროდა ნანი ბრეგვაძე.

სწორედ მაშინ გადავწყვიტე შეგვექმნა საესტრადო ანსამბლი კარგი მუსიკოსებისაგან! ბატონ გოგის ეს იდეა მოეწონა, დაგვაკავშირა ახალგაზრდა კომპოზიტორებთან: ირაკლი გიგაურთან, ნუგზარ ედილაშვილთან, ბორის თბილელთან, ოთარ თევდორაძესათან, ვაჟა აზარაშვილთან! შევარჩიეთ მათი სიმღერებისაგან რეპერტუარი, გავაკეთე ორკესტროვკები და დავიწყეთ მუსიკოსების მოძებნა.

აქ მინდა დავარღვიო წელთა თანმიმდევრობა და გადავიდე 10 წლით წინ, როცა ჩვენ მოსკოვში, საკავშირო რადიოში და ცენტრალურ ტელევიზიაში დავიწყეთ ჩანაწერების გაკეთება: ხალხური სიმღერების, კამერული და საოპერო ნაწარმოებების, თანამედროვე საესტრადო სიმღერების, მათ შორის ჩავწერეთ ბევრი ქართული საესტრადო სიმღერებიც! გაზეთის მკითხველისთვის ნათელი რომ იყოს რას ნიშნავს სიტყვა „ჩავწერეთ?“, ეს ნიშნავს იმას, რომ ამ ჩანაწერებს გადაცემდა საკავშირო რადიოს პირველი არხი და „მაიაკი“ საბჭოთა მსმენელის მოთხოვნით მთელი მსოფლიოს მაშტაბით. იმ კომპოზიტორებთან, რომლთა გვარებიც ზემოთ მოვიხსენიე, გვქონდა მჭიდრო შემოქმედებითი კავშირი, ისინი საქართველოდან გვიგზავნიდნენ ახალი სიმღერების ნოტებს, მე კი ვაკეთებდი არანჟიროვკებს ორკესტრებისთვის და ამის მერე ხდებოდა საკავშირო რადიოს სტუდიებში ჩვენგან სიმღერების ჩაწერა. ახალგაზრდა კომპოზიტორებისთვის ეს იყო დიდი წარმატება, თუ ვიგულისხმებთ, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო საქართველოს ტელევიზიაში ერთი სიმღერის ჩაწერაც კი პრობლემა იყო, სწორედ ამ დროს – საბჭოთა კავშირის საკავშირო რადიოს გადაცემებში ისმენდნენ თავიანთ სიმღერებს ჩვენი შესრულებით!

ცენტრალურ ტელევიზიის საკავშირო კონკურსში, ორკესტრის თანხლებით ჩვენ შევასრულეთ ოთარ თევდორაძის სიმღერა „მოგონება“, ალბათ ბევრისთვის ცნობილია ამ სიმღერის სიტყვები: *„კართან მოდგა შემოდგომა, ნაადრევად მოფრენილი“.* ჩვენ დავიკავეთ საპრიზო მეორე ადგილი და მაყურებლის სიმპატიის პრიზი! ამ კონკურს გადაცემდა ტელევიზიის პირველი პროგრამა მთელ საბჭოთა კავშირის და სოციალისტური ქვეყნების მაშტაბით. სიმღერას უყურებდა და უსმენდა მილიონობით ადამიანი! ოთარ თევდორაძე ძალიან გახარებული იყო, მაგრამ ძალიან წუხდა, რომ საქართველოში ამ გადაცემას არავინ არ გამოეხმაურა და არ მიაქცია ყურადღება?!

ახლა დავუბრუნდეთ 1965 წელს! ბატონმა გოგი შიოშვილმა გაგვაცნო საქართველოს ტელევიზიის საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელი საშა რექვიაშვილი, რათა ჩვენთვის გაეწია დახმარება, როგორც ახალგაზრდა მომღერლებისთვის. საშა აღმოჩნდა შესანიშნავი მუსიკოსი და ადამიანი, მოეწონა ჩვენი ხმებიც და როგორ ვმღეროდით, ასევე ჩემი არანჟიროვკები და ორკესტროვკები. ასე რომ ჩვენი შემოქმედებითი მეგობრობა გრძელდებოდა დიდი ხნის განმავლობაში.

ამავე დროს ჩვენ ვაგრძელებდით მეცადინეობას სიმღერაში მაესტრო დავით ანდღულაძესთან სრულიად უსასყიდლოდ. ჩვენი ხმის მუტაციაც როგორც იქნა დამთავრდა: ჩემი ძმისთვის, გოგისთვის დამთავრდა ძალიან კარგად, მას აღმოაჩნდა შესანიშნავი ხმა, დრამატიული ტენორი, რამაც ძალიან გაახარა ჩვენი მაესტრო. მაშინ გოგი იყო 19 წლის!

სამწუხაროდ ჩემი ხმის მუტაციამ ცუდად ჩაიარა. როგორც კონსერვატორიის ფონიატრი მარინა ვასილევნა ამბობდა, სახმო აპარატის ანთების მიზეზი იყო, ჩასაბერ ინსტრუმენტზე, ფლეიტაზე დაკვრა! ასეთივე დასკვნა მიიღო ოპერის თეატრის ფონიატრმა გულიკო ჭარხალაშვილმა „ქრონიკული ანთება სახმო იოგების“ დაკავშირებული ფლეიტაზე დაკვრასთან! ამ ექიმებთან მკურნალობამ შედეგი არ გამოიღო, აბა როგორ გამოიღებდა თუ ყველა დღე მე მიწევდა 4 - 5 საათი ფლეიტაზე დაკვრა. მათი საბოლოო გადაწყვეტილებით კი მე ფლეიტაზე დაკვრაზე უარი უნდა მეთქვა, რაც ჩემ შემთხვევაში სრულიად დაუშვებელი იყო! ვოკალურ განყოფილებაზე გამოცდების ჩაბარებაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. დამრჩა მხოლოდ ერთი გზა – ფლეიტაზე გამეგრძელებინა სწავლა კონსერვატორიაში.

ამ დროს ჩვენი ცხოვრების გზაზე გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი პიროვნება – ნოდარ ანდღულაძე, ჩვენი პროფესორის დავითის შვილი და მოწაფე. ჩვენზე ოცი წლით უმფროსი. ახალი ჩამოსული იტალიიდან. ჩვენს მიმართ კეთილი განწყობილება გამოიჩინა, ვფიქრობ მასზე იმოქმედა მამიმისის ჩვენდამი დამოკიდებულებამ.

იტალიაში წასვლამდე, 1956 წლიდან ნოდარ ანდღულაძე თბილისის ოპერის თეატრის სოლიტი იყო, მას წარმატებით ქონდა შესრულებული აბესალომისა და მალხაზის პარტიები ზ.ფალიაშვილის ოპერებიდან, ტარიელის პარტია მ. მშველიძის ოპერიდან „ამბავი ტარიელისა“ და ა.შ.

1961/62 წელში ის მივლინებული იყო იტალიაში, მილანის თეატრ „ლა სკალაში“, სტაჟირების გასავლელად სხვა საბჭოთა მომღერლებთან ერთად, ცნობილ იტალიელ მომღერლის – ჯენარო ბარას ხელმძღვანელობით! რა ქმა უნდა ორ წელიწადში მომღერლის თავიდან „ახალი სისტემით აღზრდა“ ძალიან ძნელი საქმეა, თითქმის შეუძლებელი, თვით იტალიელ ჯენარო ბარასთვისაც კი, მაგრამ ნ. ანდღულაძემ თან ჩამოიტანა რამოდენიმე რვეული, სადაც აღწერილი ქონდა თითქმის ყველა გაკვეთილების მსვლელობა იტალიელ მაესტროსთან! მას ასევე მჭიდრო შემოქმედებით კავშირი ქონდა ჯენარო ბარას საუკეთესო მოწაფესთან, შესანიშნავ ტენორთან, ჯანი რაიმონდისთან!

ვარვარა მიხაილოვნა, გოგი ბეშიტაშვილი დავით ანდღულაძე და გია ბეშიტაიშვილი

იტალიიდან დაბრუნებულ ნ. ანდღულაძეს მიზნად ქონდა დასახული – ღირსეული ადგილი დაეკავა საოპერო სცენაზე, რა თქმა უნდა ასეთ ადგილად პირველ რიგში განიხილებოდა სსრკ დიდ თეატრი, სადაც უკვე 1959 წლიდან წამყვან სოლისტად მღეროდა ზურაბ ანჯაფარიძე, დავით ანდღულაძის მოწაფე! ამ თეატრში მუშაობის სურვილი გააჩნდა სხვებსაც, უკვე საკმაოდ ცნობილ ოპერის მომღერლებს: ვლადიმირ ატლანტოვს, ვირგილიუს ნორეიკოს, ვლადისლავ პიავკოს, ანატოლი სოლოვიანენკოს და ზინოვი ბაბის! მაინც ვის ქონდა შანსი გამხდარიყო დიდი თეატრის სოლისტი?! ვლადიმირ ატლანტოვს, ზინოვი ბაბის და ნოდარ ანდღულაძესაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ თეატრის ხელმძღვანელობა ამ მომღერალს გამოიყენებდა იტალიურ ოპერებში! მართლაც მალე ვ. ატლანტოვი ჩაირიცხა დიდ თეატრის სოლისტად, ზინოვის ბაბი – ამ დროს დიდი წარმატებით გამოდიოდა მსოფლიოს საოპერო სცენებზე და დიდ თეატრში მოწყობისთვის თავი არ მოუკლია! ნოდარ ანდღულაძეს რამოდენიმე მცდელობა ჰქონდა გამხდარიყო დიდი თეატრის სოლისტი, მაგრამ სამწუხაროდ უშედეგოდ.

სწორედ ამ წლეებში კინოეკრანებზე გამოვიდა მუსიკალური ფილმები: „ახალგაზრდა კარუზო“, სადაც ისმოდა მარიო დელ მონაკოს შესანიშნავი ხმა. შემდეგ ფილმი „დიდებული კარუზო“ მარიო ლანცას მონაწილეობით, რომელმაც მოხიბლა მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში! ასევე ჩვენთან შესაძლებელი გახდა გვეყიდა მსოფლიოში ცნობილი მომღერლების პლასტინკები, მოგესმინა მათი ხმები, შესრულების დონე, ხმის ფლობის ტექნიკა, რამაც სრულიად შეცვალა ჩვენი შეხედულებები ოპერის მომღერლებზე!

მინდა მოგმართოთ თქვენ, პატივცემულო გაზეთ „ალიონის“ მკითხველებო: მე ვცდილობ ჩემ მოგონებებში დღევანდელი დღის გადასახედიდან კი არ მოგმართოთ, არამედ ვცდილობ გავიხსენო იმ დროინდელი ჩემი განცდები, ფიქრები, ოცნებები, კარგი თუ არა კარგი ამბები!

დადგა 1965 წლის მაისის თვე, სკოლის გამოცდები წარმატებით ჩავაბარეთ! მუსიკალურ საგნებში ჩემ ხუთიანებს, ერთი ოთხიანიც „გამოაყოლეს“, თანაც მუსიკის ისტორიაში?! მასწავლებელიც კი შეწუხებული და გაოცებული იყო – „მე ხუთიანი დაგიწერეო!“. როგორც მერე „ამიხსნეს“, წითელი დიპლომების და ოქროს მედლების რაოდენობა ძალიან ცოტა ყოფილა და მე „არ მომიწია“!

მივიღეთ გადაწყვეტილება გამოცდები კონსერვატორიაში ჩავებარებია! გამოცდებიც წარმატებით ჩავაბარეთ, მაგრამ როგორც ინსტრუმენტალისტებმა, მე როგორც ფლიტისტმა, ხოლო ძმამ კი როგორც კლარნეტისტმა! აი ახლა შეგიძლიათ შემეკითხოთ: „ არ გინანებიათ უცხო ენათა ინსტიტუტის უარყოფა?!“ იმ დროს ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ სწორად მოვიქეცით! დღეს კი ვფიქრობ ეს იყო შეცდომა! კიდეც გვითხრა მაშინ ბატონმა გოგი შიოშვილმა – „ორი, სამი უცხო ენის ცოდნა, თქვენ ცხოვრებაში ბევრ სიკეთეს მოგიტანთო!“.

ჩვენ სხვანაირად ვიყავით აღზრდილები, არსად წასვლას და მითუმეტეს სხვა ქვეყანაში ცხოვრებას არ ვაპირებდით! საქართველოში, სადაც ჩვენი მშობლები, ნათესავები, მეგობრები და ხალხი, რომლებმაც ჩვენს მიმართ დიდი სიყვარული გამოიჩინა ჩვენ ბავშვობაში, რომლებიც ჩვენთან ერთად იმეორებდნენ ჩვენი სიმღერის სიტყვებს:„ჩემი ლამაზი ქვეყანა, იაგუნდი და ლალები, მისთვის ცოცხალ ვარ სიკვდილსაც, მისთვის არ დავინანებ!“

ვიდექით კიდევ ერთ გზაჯვარედინზე! წინ კიდევ ბევრი განსაცდელი გველოდა!!!

გია ბეშიტაიშვილი
(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება დასაწყისი „ალიონი №6-7

კაცის მეხსიერება



საერთოა მათთან, ვისთან ერთადაც შევქმენით. გვიყვარს მოგონებები ჩაძირვა, თუნდაც მტკივნეული იყოს ისინი. რაც არ უნდა ვეცადოთ, ზოგიერთი მოგონების წაშლა შეუძლებელია და ისინი სამუდამოდ რჩებიან ჩვენში. ცხოვრება თითქოს მეხსიერების უწყვეტი ქსოვილია, რომელიც ჩვენს არსებობას აზრს აძლევს.“.

დღეს, სამუშაოს დღის დამთავრებისას „ალიონისთვის“ წერილის წერა რომ დავიწყე, ერთი წიგნი გამახსენდა, გახსენებაცაა და გახსენებაც... ლამის ყველაფერი გამახენდა, და ვიდრე გახსენებულს კლავიატურაზე ორი თითით აკრეფას დავიწყებდი, არ დამეზარა და ხელოვნურ ინტელექტს ვკითხე რას დაწერდა ჩემს მაგიერ ადამიანის მეხსიერების შესახებ.

ვიდრე, პატივცემული ქლაუდის ნაფიქრალს აქ გადმოვცემდე, ნახევრად ხუმრობით ვიტყვი, წარმოშობით თუ არა დედის მხრიდან გურულია ნამდვილი!

მოკლედ, ჩემგან განსხვავებით, პასუხმა არ დააყოვნა. აღარ მე დავაყოვნებ და პასუხს სრულად გთავაზობთ:

„ადამიანის მეხსიერება უჩინარი ძაფებით არის მიმობნეული ჩვენს გონებაში. ზოგჯერ მოგონებები დაუძახებლად მოდიან და თავს გვახსენებენ მაშინ, როცა სულაც არ ველოდებით. უცნაურია, როგორ ინახავს ტვინი წლების წინანდელ სურნელებს, ხმებს და განცდებს, რომლებიც მოულოდნელად იღვიძებენ. ერთი ნაცნობი მელოდია საკმარისია, რომ მთელი ცხოვრება თვალწინ გაგეშალოს. მეხსიერებაში ჩაძირული ამბები ხშირად მოულოდნელად ამოტივტივდება და ისე მოგაწყდება, თითქოს გუშინ მომხდარიყოს. საოცარია, რამდენად შერჩევითია ჩვენი ტვინი — ზოგი უმნიშვნელო დეტალი სამუდამოდ რჩება, ხოლო მნიშვნელოვანი მოვლენები ქრება. ბავშვობის მოგონებები განსაკუთრებული სიცხადით გვბრუნდება ხოლმე, თითქოს დრომ ვერაფერი დააკლო. ზოგჯერ ისეთი რამეები გვახსენდება, რისი დამახსოვრებაც თითქოს შეუძლებელი იყო. სურნელი, რომელიც ბავშვობის სახლს გაგახსენებს, შეიძლება უცებ მოგაწყდეს და მთელი დღე ნოსტალგიაში გაატარებინოს. მეხსიერება ხანდახან გვიღალატებს, გვატყუებს და სხვა ფერებში წარმოგვიდგენს ისტორიებს. ზოგჯერ გვგონია, რომ რაღაც დაგვავიწყდა, სანამ მოულოდნელად არ ამოტივტივდება ცნობიერებაში. მეხსიერება დროს ებრძვის და ხშირად ამარცხებს კიდეც მას, შენახული მოგონებებით. თითქოს რაღაც ჯადოსნური ფარანია, რომელიც დროის ბნელეთში გზას გვინათებს. არის წამები, როცა წარსული აწმყოზე უფრო ნათელი და ცოცხალი ხდება. მოგონებები მხოლოდ ჩვენი არ არის - ისინი

დღეს, წერილის წერას რომ ვიწყებდი, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ I წიგნის 1870 წლის გამოცემა გამახსენდა. ხომ გითხარით, ლამის სულ ყველაფერი-მეთქი და სად უნდა მენახე 1870 წლის გამოცემა თუ არა ბუკინისტურ მაღაზიაში. მარჯანიშვილზე იყო — ის ბუკინისტური მაღაზია - ნახევარსარდაფი და პირველი სართული ეჭირა, რამდენადაც მახსოვს. მე, მაამასთან ერთად მაღაზიაში რომ შევედი, ექსკურსიაზე უფრო, ვიდრე, რომელიმე წიგნის საყიდლად, შუშის ზედაპირზე იდო.. არც ავტორი ეწერა და არც სათაური. „დავითიანის“ 1870 წლის გამოშვებაა, თქვა ბუკინისტმა. მეორე არ არის. კაცი, რომელიც ჩემს წინ იდგა, იმაზე მეტად დაიხარა, ვიდრე წიგნის გადაფურცლისთვის, ან თუნდაც წასაკითხად იყო საჭირო. გადაიხარა წიგნს ნეკა თითი უცნაურად ააყოლდა და გადაშლილ გვერდს დახედა.

გადაშლილ გაყვითლებულ გვერდზე ჯერ „გურამიანი“ ეწერა, და შემდეგ ფრჩხილებში — მაშინ უკვე ნაცნობი — „დავითიანი.“

აი, შემდეგ გვერდის აღწერა რომ მთხოვოთ, ვერაფრით მოგახსენებთ. სწორედ, ამიტომაა ლამის რომ არ არის კარგად და კიდევ უფრო, ზუსტად!

დარწმუნებული ვარ, ავტორის გვარიც ეწერებოდა და პირველი წიგნი, რომ არის ისიც, ბუნებრივია!

სათაური?!

სათაურიც, აბა, რა!

ულამაზესად დაწერილი სათაური!

დავითიანი!

მენდეთ, უკვე ვხედავ!

ანუ ვიდრე ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიიდან“ ჩამოვტვირთავ, მანამდე!

აუ, რა მომინდა ხელში ამეღო და გადამეფურცლა!

სულ სათითაოდ და თუ ფიქრობთ, წიგნის წელთა სიმრავლე, მტვერი და ჭუჭყი შემაშინებდა, ანდაც წიგნის, სავარაუდოდ მრავალწლიანი და საინტერესო ისტორიას გავუფრთხილდებოდი და მარჯვენა საჩვენებელი თითის დასველებას მოვერიდებოდი გაყვითელებულ ფურცლებს - ცდებით!

მინდოდა და მორჩა!

და რას ფიქრობს, ამის შესახებ, პატივცემული ქლოდი?

„ძველი წიგნის ხიბლი მართლაც განსაკუთრებულია! ნება მომეცით, იმ განსაკუთრებულ შეგრძნებებზე გავაგრძელო, რასაც ძველი წიგნი გვთავაზობს:

დროით გაყვითლებული ფურცლები თითქოს ჩუმად გიამბობენ საუკუნეების ისტორიას. მათი შეხება განსაკუთრებულია — ოდნავ უხეში, მაგრამ ამავდროულად ნაზი, თითქოს დროის მდინარებას შეეხე ხელით. ძველი წიგნის სურნელი კი საოცრად თავისებურია — ეს არის მტვრის, მელნის, ტყავის ყდისა და წარსულის ერთგვარი ნაზავი, რომელსაც ვერც ერთ პარფიუმერიაში ვერ შეიძენ. ზოგჯერ მგონია, რომ ამ სურნელში ჩაწნულია ყველა იმ ადამიანის სუნთქვა, ვინც ოდესმე ამ წიგნს შეხებია და გადაუფურცლავს.

და ვინ იცის, იქნებ გემოც აქვს ამ წიგნებს. არა პირდაპირი გაგებით, რა თქმა უნდა, მაგრამ როცა მკითხველი შთანთქმულია ძველი ტექსტით, ენაზე რჩება განსაკუთრებული გემო — სიტყვების, აზრების, ეპოქების გემო. ეს არის ცოდნის, სიბრძნისა და დროის მიღმა გადაძახილის გემო, რომელიც სულის სიღრმემდე ატანს. თითოეული ასო, თითოეული სიტყვა დატვირთულია წარსულით და მომავლისთვის დატოვებული გზავნილით — ამ ორ სამყაროს შორის შუამავლად კი სწორედ თქვენ გევლინებათ.“

ეჰ! ქლოდ, ქლოდ!

რისი მშთანმთქმელი ვიყავი იმ დროს!

ზოგადად წიგნის და მით უფრო დავითიანის!

დავითიანი - მოგვიანებით მოვიდა...

„სწავლა მოსწავლეთასაც“ კი გვერდი აუარა და მთელი პოემა, განსაკუთრებით, რამდენიმე ადგილი, რამდენჯერმე წამაკითხა!

მართლაც, მხიარული იყო ის ზაფხული!

სხვათაშორის, არც ზამთარ-ზაფხულისა და ქარების ბრძოლით დაწყებული და არც რომელიმე მსგავსი თუ არამსგავსი ბრძოლით!

ღმერთო, ჩემო!

რამ წამაკითხა იმხანად მსგავსები:

„ ამირად ჰყვანდა კეკია,
სად ევროს იდგა ნაცარქექია,
შემდეგად არგესტი,
აპილი ერღასტი,
თრასკე ლივონტოს.“

თუ არ ჩავთვლი ზაფხულს, ჰყვანდა, შემდეგად და რაც მთავარია ნაცარქექიას, მგონი არც ერთი სიტყვა არ იყო... ნაცნობი!

გაივლის წლები და ისე რომ, კაციშვილი არ მიმაყენებს კედელზე დასახვრეტად, სწორედ მე ვუხელმძღვანელებ „დავითიანი“ + „დავითიანის ლექსიკონის“ გაციფრულების, ჩემთვის და არამხოლოდ ჩემთვის უმნიშვნელოვანეს საქმეს!

ვუხელმძღვანელებ და კიდევ ერთხელ გავიხსენებ მე...

კიდევ ერთხელ გავახსენებ სხვას და შეიძლება გაგახსენებ შენც, რომ, თრასკე - თრასკე, ბერბნული სიტყვაა. და ასე განიმარტება: *„ჩრდილოეთის ან ჩრდილოდასავლეთის ქარი თრასკიასი ან თრაკიასი. თრაკიის ქარი“.*

თავად წიგნს რომ დავუბრუნდე, ის დროა...

„ივერიელს“ ვაკითხავ და...

„დავითიანის“ პირველი წიგნის ციფრულ ვერსიას ეკრანზე ვუყურებ!

ჩემ წინ წიგნის მე-9 გვერდია!

სწორედ ამ გვერდიდან იწყება ფიორგი წერეთლის წინათქმა, რომელიც ჩენდა სამარცხვინოდ

ჯერ არ წამიკითხავს. ტექსტურ ფაილად გადავიყვან...

რასაც შევძლებ, გავაკორექტირებ და განსაკუთრებით საინტერესო ადგილებს აქვე მოგაწვდიღ. ვიმედევნებ, ბევრი იქნება! თუმდა, მანამდე, მეტად საპატივცემულო ადამიანს გავიხსენებ — ბატონ ნოდარ ნათაძეს და მისი არაჩვეულებრივი ნაშრომის დასაწყის აქ გადმოვიტან.

„დავითიანის“ შინაარსი, აღნაგობა და ძირითადი მოტივები

სათაური „დავითიანი“ აღნიშნავს ან იმას, რომ წიგნში მოთხრობილია დავითის ამბავი (ისევე, როგორც სათაური „ვისრამიანი“ აღნიშნავს ვისისა და რამინის თავგადასავალს, „როსტომიანი“ — როსტომისას, „ვარდბულბულიანი“ მოგვითხრობს ვარდისა და ბულბულის ტრფობის ამბავს და ასე შემდეგ), ან იმას, რომ წიგნში შეკრებილია დავითის ნაწარმოებები. გურამიშვილის „დავითიანი“ ამ სათაურს ორივე მხრივ შეესაბამება: მასში მოთხრობილია პოეტის ბიოგრაფიის ერთი ვრცელი მონაკვეთი (ლეკების მიერ დატყვევებიდან სიბერემდე) და ამავე დროს შეკრებილია მისი სხვა ნაწარმოებიც, რომელთაც მის ბიოგრაფიასთან პირდაპირი კავშირი არა აქვთ.

დავითიანის მთავარი მოტივებია

— ისტორიულ-ნარატიული (მთხრობელი), ანუ მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენათა გადმომცემი და გამააზრებელი

—ლირიკული, უფრო კონკრეტულად — ლირიკულ-მედიტაციური (განაზრებითი), ანუ ფილოსოფიურსა და მსოფლმხედველობრივ თემებზე ჩაფიქრებით გამოწვეული გრძნობის გამომთქმელი

— დიდაქტიკური (დამრიგებლობითი);

— რელიგიური;

— საყოფაცხოვრებო.

არის ბუკოლიკაც (მწყემსთა ცხოვრების იდილიური სურათი) „მხიარული ზაფხული“, რომელსაც დიდაქტიკური (ზნეობრივ-აღმზრდელობითი) მიმართულება აქვს...

პედაგოგიური მოტივი

„დავითიანის“ ავტორის ხელიდან გამოსულ ხელნაწერში გამოსახულია მლოცველი კაცი (იგულისხმება: პოეტის ავტოპორტრეტი) განმარტებით...“

მენდეთ (ბუნებრივია, ისინი, ვისაც წაკითხული ჯერ კიდევ არ გაქვსთ) მართლაც, რომ დიდებული წერილია, არამარტო წაკითხვა რომ ღირს!

შვილებისთვის, შვილიშვილებისთვის და ა.შ. გასაზიარებელი წერილია და ახლა, რასაც ვწერ, იმის კითხვას გვერდზე თუ გადადებ და ბატონი ნოდარისას, წაიკითხავ, გული დამწყდება კი არა, გულიანად გავიხარებ!

პირველი წიგნის გიორგი წერეთლისეული წინათქმის პორველი გვერდი გავაციფრულე,

გავაციფრულე და მინდა ჩემთან ერთად შენც წაიკითხო.

დავით გურამიშვილი დ მისი წინა დროები

ამ ჟამად ჩვენში ძვირად იპოვება იმისთანა კაცი, რომ საფუძვლიანი ცოდნა ქონდეს ჩვენი ძველის ლიტერატურისა. სულ რომ ბევრი სთქვას, თითო-ოროლა ნაწყვეტს ამბავს იტყვის დიდებულს თამარ მეფის დროზე და აქვე წარმოადგენს დაუვიწყარს რუსთველს იმისი „ვეფხვისტყაოსნით“; იმასაც იმისთვის, რომ ეს პოემა საქართველოს ერს სიბრძნის ჭურჭლათ მიაჩნია, საიდგანაც მოხუცი და ახალგაზდა, ყველანი თანასწორათ იღებენ თავის მეცნიერებას. ამას გარდა ერთი-ორი სხვა მწერლის სახელიც რომ გითხრას, მეტს ვეღარას გეტყვით. აი, ამით გათავდება იმისი ცოდნა ჩვენს ძველს მწიგნობრობაზე.“

იცით, რა?

მოდით, აქ გიორგი ბატონის ნააქრევის კითხვა ერთდროულად შევწყვიტოთ და უკვე წაკიხული გავაანალიზოთ; მე — ჩემთვის და შენ — შენთვის.

კი მესმის, ბევრი რამ რომ შეიცვალა, ბევრი რიმ გავიგეთ, შევიმრცნეთ, გადავხარშეთ და მაინც... მხოლოდ მე დამაფიქრა უკვე წაკითხულმა?!

ასეა!

მაგას რა სჯობს!

ორივე ხელის აწევით, მივესალმები ამ დიდებულ ამბავს!

მივესალმები და განვაგრძობ:

„სამწუხაროდ, თვითონ საქართველოს მემატიანებსაც სრულებით არ მიუქცევიათ უურადღება ამ უმთავრესს საგანზე, მაშინ როდესაც ზოგჯერ რამდენიმე ფურცლები სულ უბრალო ამბებით გაუჭრელებიათ. უბედურს ისტორიულ გარემოებასაც არ დაუკლია თვისი ცდა, რომ სრულებით წაშლილიყო ქვეყანაზე გონების წარმატების კვალი საქართველოს ერისა. მუდამ ჟლეტა ხოცვას და სარწმუნოებისათვის დაუწუნარებულს ბრძოლას ბევრი გონებითი საუნჯე შეუმუსრავს: მრავალი საუკეთესო წიგნები ცეცხლს და წელს მისცემია...“.

არა, აქ მეტს ვერარ განვაგრძობ...

აქ. ლამის ერთკვირიანი დაფიქრება მმართებს...

გიორგი ბატონის წინათქნის სათაურზეც მმართებს მეტი დაფიქრება და იმაზეც რაც უკვე ნაფიქრალი მეგონდა...

წელს დავით გურამიშვილის საიუბილეო წელია!

1 აგვისტომდე არც თუ ბევრი დროა დარჩენილი...

იუბილეს სათანადო აღნიშვნა სჭირდდება!

დიდი პოეტის და განა მარტო დიდი პოეტის იუბილეს ერთდღიანი აღნიშვნა როდი ეყოფა!

ეროვნულმა ბიბლიოთეკამ შარშან დაიწყო და წელსაც აგრძელებს...

მეც ვაგრძელებს, როგორც შემიძლია!

მათ შორის - ფიქრითაც!

გიო კილაძე

ხსოვნა

თამარ ყურაშვილი

დიდებული ადამიანები უძეგლოდ არ იკარგებიან! არც **თამარ ყურაშვილი!...**

თამარმა ყველაზე უკეთესი ძეგლი დაიდგა, განა ერთი -უამრავი, თან უსულო ქვისგან გამოთლილი კი არა, ხსოვნისა და არდავიწყების ძეგლი ა,-დამიანთა გულებში შუქმფინარედ დანთებული!

უკვე რამდენიმე დღეა, რაც ზეციური სამყაროს ბინადარი გახდა, ტკივილი არ განელებუ-ლა, პირიქით უფრო მძიმედ ასა-ტანი გახდა.

წლებია მძიმე სენს ვაჟკაც-ურად ეურჩებოდა ... სიფრიფანა, ნატიფი, მგრძნობიარე, ჩუმ,ი უპრეტენზიო... არ დაცემულა, არ გაბოროტებულა, სულიერად უფალთან სიახლოვეს ესწრაფო-და და ... უსაყვედუროდ, დაუჩი-ვლელად, ბოლომდე ერთგულად, დაუღლელად ემსახურებოდა საყვარელ საქმეს.

ლექსებს ანდობდა სულის ფორიაქს, სევდას და ტკივილს... ,,მიწიერი ყოფის სნეულებათაგან განკურნებას, ბავშვობიდან, პოეზი-ის საშუალებით ვცდილობდი...'' წერდა საკუთარი ლექსების კრე-ბლის წინასიტყვაობაში, აღარ არის და ლექსები დაგვიტოვა მიცვალების შემდეგ თავიდან რომ აღმოგვეჩინა, თავიდან რომ დაგვენახა!

სკოლის დირექტორობა მისთვის პრესტიჟი და პატივი კი არ იყო, არამედ თავდაუზოგავი შრომა, პუნქტუალური, ზედმეტად პასუხისმგებლიანი დღენიადაგ სწავლა-სწავლების ამაღლებასა და სკოლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე ზრუნავდა, უდიდესი განსაცდელის ჟამსაც არ დაუშვია, რომ მისი პრობლე-მა და ტკივილით რაიმე დაეკლო, რაღაც ისე ზედაპირულად გაეკე-თებინა, ბოლომდე იხარჯებოდა!

,,დრო თამამად აზის ნისლ-ისფერ ბედაურს, მოგონებები ეშლება კესანეს...

ისე მონდომებით დამადაღეს ერთგულება, ვერაფრით მოვიშ-ორე... როგორ არ ვეცადე...''

ერთგულება მისი უმთავრესი ღირსება იყო!

თუ რამ ტიტული შეიძ-ლებოდა ჰქონოდა ,როგორც პროფესიონალს ყველაფერი თავ-დაუზოგავი შრომით, რუდნებით იქნა მიღწეული, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მენ-ტორი მასწავლებელი, სკოლის დირექტორობის წარმატებით გამოცდაჩაბარებული! არაჩვეულ-ებრივი პედაგოგი, მჭევრი, გონი-ერი თამარი ოზურგეთის საპა-ტიო მოქალაქედაც იყო არჩე-ული. ეს სიცოცხლეშივე აღი-არება იყო მისი ღვწისა..

და მაინც ყველაზე მთავარი რაც წაიყოლია ეს უსამანო სიყ-ვარულია იმ შეგირდებისა, რომ-ლებმაც თან გაიყოლეს, თამარ მასწავლებლის სითბო, სიყ-ვარული, სიტყვის მადლი! მეგობართა გულებში სამუდამოდ დატოვებული ხსოვნაა!

ახლა უფალთან მისვლამდე რთული გზა აქვს გასავლელი, მისხალ- მისხალ იწონება მი-წიერი ცხოვრების ავკარგი, თა-ვადაც ამას ეკედრებოდა უფ-ალს...

,,უფალო, მძიმეა ტვირთი და მაინც,

სიცოცხლის საფარი ზურ-მუხტისფერია,

ხელი შემაშველე, როცა ჩავიმუხლებ,

განსაცდელი ხომ მიწაზე ბევრია...''

ღმერთს ვევედრები შეგინდ-ოს შეცოდებანი, მადლი გაგიათასოს და სასუფეველში მოგიჩინოს მარადისი საცხ-ოვრისი მეგობარო!

მზია ვაშალომიძე,
ბახვის საჯარო სკოლის
დირექტორი

სტუმრობა ქ. ოზურგეთის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში

ქ. ოზურგეთის №4 საბავშვო ბაღის სასკოლო მზაობის ჯგუფის (აღმზრ-დელი ლია ქავთარაძე) აღსაზრდელები, მშობლები ეწვივნენ ქ.ოზურგეთის ცენ-ტრალურ ბიბლიოთეკას, ბიბლიოთეკართა საერთაშო-რისო კვირეულთან დაკავ-შირებით.

აღსაზრდელები გაეცნენ სხვადასხვა დროს შექმნილ განსხვავებულ ფორმისა და შინაარსის წიგნებს. გაეცნენ საბავშვო წიგნების განყ-ოფილებას.

საბავშვო განყოფილების გამგე **ლალი მექვაბიშვილმა** ბავშვებს ზღაპრები წაუკი-თხეს, რის შემდეგ გასართობ ოთახში გადაინაცვლეს, სადაც იმხიარულეს, ითამაშეს. გატარებული დროით კმაყ-ოფილები დარჩნენ.

სკანვორდი



პასუხები:

ნოემბერი; ალბანეთი; ბერლინი; ბეთანია; ალბერტ ეინშტეინი; ალბერტ; ალბერ; ალბერ კამიუ; ალბერ; ალბერტ; ალბერ; ალბერ; ალბერ

საქართველო 1907-1914 წლებში

ქართველი საზოგადოება 1905 წლის რევოლუციის შემდგომ



„ილია ჭავჭავაძე ყოველთვის იყო და არის თავად-აზნაურთა ბანკების მოსარჩლედ. მართალია, ჩვენებურ ბანკებს საზოგადოებრივი ხასიათიც აქვს, წმინდა მოგებას ხშირად საზოგადოებრივ საქმეს ანდომებდნენ, სკოლა იყო ეგ საქმე, გაზეთი თუ თეატრი – მართალია ისიც, რომ ჩვენს ღარიბ და უფერულ ცხოვრებას „ბანკის კრებები" ცოტა არ იყოს აცოცხლებდნენ და აელვებდნენ – ასე თუ ისე სწურთვნიდნენ ჩვენს უნარს სავარიდ ლაპარაკისას, ავარჯიშებდნენ ჩვენს „წარმომადგენლობას", ხოლო მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენი სათავად-აზნაური ბანკები იყო და არის წოდებრივი დაწესებულება, რადგან უმთავრესი მისი აზრი თავად-აზნაურობის ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესება და გამაგრება – ეწინააღმდეგება უმრავლესობის, ჩვენი მწარმოებელის ინტერესებს. რადგან მწარმოებელ და მემამულეს შორის ძირითადი განსხვავებაა, ამისთვის ერთის რომელიმე კლასის გამაგრება მეორე მიპირდაპირე კლასის დასუსტება იქნება, ხოლო, რადგან ჩვენ უნდა მივიღოთ მხედველობაში უმრავლესობის ინტერესი, ამისათვის უნდა ვსთქვათ, რომ ყოველი დაწესებულება, ყოველი ზომა, რომელიც უმცირესობის ინტერესს ემსახურება მავნებელ დაწესებულებად, მავნებელ ზომად უნდა მივაჩნდეს";

„ჩვენ უკვე ვსთქვით, რომ ილია ჭავჭავაძის ეკონომიური მოძღვრება „უკიდურესობაზე" არასოდეს არ მისულა, პირიქით, ჩვენს ავტორს ყოველთვის ჰქონდა დაცული ერთგვარი „ზომიერება", რომელსაც არსებულ სოციალურ წყობილების გაუმჯობესობა ჰქონდა მიზნად და არა მისი დარღვევა. რა საშუალებით, რა ნირად შესაძლებელია გაუმჯობესება ამ ცხოვრებისა, ევროპაში ამ კითხვამ დიდ ძალი დასები დაჰბადა: პროგრესისტები, ლიბერალები, რადიკალები – ყველანი სცდილობენ გაუმჯობესონ არსებული წყობილება. სოციალისტებისაგან ყველა ესენი იმითი განირჩევიან, რომ მაშინ, როდესაც სოციალისტების მოქმედება არსებული წყობილების გაუქმებისაკენ მისწრაფვის, ამათ სურთ, პირიქით, არსებული უთანხმება შეასუსტონ სხვა-და-სხვა რეფორმებით და მით, უფრო გაამტკიცონ ეს გარეგნობით განსხვავებული წყობილება;"

„ილია ჭავჭავაძე – ევროპიული საზომით რომ დავფასოთ მისი ნაწერები, – არსებულ ცხოვრების გაუმჯობესების მომხრე იყო, ხოლო იარაღი და საშუალება, რომელსაც ხმარობდა ამ ცხოვრების გასაუმჯობესებლად, იმგვარი იყო, როგორსაც ხმარობენ ლიბერალ-რადიკალები. ერთმა ნაწილმა ჩვენი საზოგადოებამ, თავის წინამძღოლის ნ. ჟორდანიას მე-ოხებით, კონსერვატორთა გუნდში ჩარიცხა ჩვენი ავტორი. მკითხველი დაინახავს ამ აზრის უსაფუძვლობას და აკვიატებულ მიდგომილ მსჯელობას ;"

„ახლა ვეკითხოთ, რა აზრისა იყო ჩვენი ავტორი კერძო საკუთრებაზედ? როგორცა ვსთქვით, ამ საგნის განხილვამ უნდა დაგვანახვოს ავტორის ნამდვილი მიმართულება. ხიზანთა კითხვის გარკვევაში ავტორის აზრი შეუწყვეტლივ ტრიალებს საკუთრების პრინციპის გარშემო.

ა). ილია ჭავჭავაძის აზრით, საკუთრებას აქვს მიზნად საზოგადოების სარგებლობა და არსებობაც კი: ხოლო ამას ემსახურება საკუთრება თავისის „ზოგა-დის" ნაწილით. ამისათვის ავტორი ყოველთვის უსვამს ხაზს ამ საკუთრების ზოგადს მხარეს. ამითი აიხსნება ძველ ხიზანთა ადათის გამართლება ავტორისაგან, იმ ადათისა, რომელშიაც გამოსახულია ზოგადი მხარე საკუთრებისა.

ბ). აშკარა, ჩვენი ავტორი არა სთვლის კერძო საკუთრებას შეურყეველ დაწესებულებად და, მისის აზრით, „კანონი ხშირად ჰხუთავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებათ".

გ). თუმცა ჩვენი ავტორისათვის ფრიად სიმპატიურია საკუთრების ზოგადი მხარე, ესე იგი, თუმცა მის თვალში საკუთრება ხელ-უხლებელი არ არის, პირიქით, ზოგიერთ პირობებში მისი უფლების შეკვეცაც არის საჭირო, ხოლო ამ კერძო საკუთრების უფლების შეზღუდვას, ავტორის შეხედულებით, აქვს აუცილებელი საზღვარი, რომელსაც არც კანონი, არც ჩვეულება არ უნდა გადასცილდეს. ამითი აიხსნება, რომ ჩვენი ავტორი ასე თანაუგრძნობს ხიზნობის ადათს, სადაც, მიუხედავად საკუთრების უფლების შეკვეცისა, განსაზღვრულია ამ შეკვეცის საზღვარი. ამითი აიხსნება, რომ იქ, საცა დაცულია ზოგადი ხასიათი საკუთრებისა, ავტორის შეხედულებით, ალარ არის შრომის და საკუთრების წინააღმდეგობა და განხორციელებულია სასურველი ეკონომიური თანხმობა. ავტორი არა ხედავს, რომ ამგვარი საკუთრების უფლების შეზღუდვა მხოლოდ ერთი ნაბიჯია შრომის და საკუთრების წინააღმდეგობის კითხვაში.

დ). სიმართლე მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ ილია ჭავჭავაძე თითქოს გრძნობდა ამ შეუთანხმლობას. აქა-იქ ჩვენი ავტორი სცილდება „ბურჟუაზიულ" მოძღვრების საზღვარს, ხოლო სცილდება გაუბედავად, კრძალვით. და ისევ საჭაროდ უკან ბრუნდება."

არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძის ნაზრევის შეფასებას ასე ასრულებს:

„ჩვენ თვალი გადავავლეთ ილია ჭავჭავაძის იმ ნაწერებს, რომელნიც ავტორის დამახასიათებელ ნაწერებათ მიგვაჩნდა. რასაკვირველია, ავტორის დახასიათება სრული ვერ გამოგვივიდა – ვგონებთ, უდროოდ იქნებოდა ამგვარი დახასიათება, რადგან, იმდი გვაქვს ჩვენს მწერალს არ დაუმთავრებია ჯერ ჯერობით თავისი სალიტერატურო მოღვაწეობა. ჩვენ შევაჩერეთ მკითხველის ყურადღება იმ ძვაკე და გამოურკვეველ კითხვებზე, რომელნიც დღესაც, – როგორც გუშინ, როგორც იმ დროს, როდესაც ილია ჭავჭავაძემ პირველად წერა დაიწყო, – გვაღელვებენ, გვაწუხებენ და უთანხმების მიზეზად ხდებიან ჩვენს საზოგადოების სხვა-და-სხვა დასთა შორის. ჩვენ ხაზი გავუსვით ავტორის იმ აზრებს, რომელთაც თანაუგრძნობთ დღეს, და რომელზედაც უნდა აშენდეს შეუწყვეტელი და შეთანხმებული მოღვაწეობა ძველის და ახალის თაობისა.

ა). ხოლო სიმართლე ითხოვდა, აღგვნიშნა, რომ ჩვენი თანხმობა სრული არ არის და ამიტომ იქ, საცა სწყდება ჩვენ შორის თანხმობის ძაფი, უნდა გამორკვეს და გამტკიცდეს „რაღაც ახალი," სწორედ ის, რაც ახალ თაობის საზრუნველ საგნად გადაიქცევა. ეს ასე უნდა იყოს. ცხოვრება განუწყვეტელი მოძრაობაა.

ბ). ილია ჭავჭავაძე, მესამოცე წლებიდან მოყოლებული მოღვაწეობს სალიტერატურო ასპარეზზედ. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ ის მოძრავი ძალა, რომელიც ამოქმედებდა ჩვენს მწერალს, ქართულ ეროვნების დაცვის, გამოფხიზლების და სხვა ერთა შორის გათანასწორების აზრი იყო. ეროვნება აღფრთოვანებდა ავტორს, ეროვნება სამართლიანობის კითხვად მაჩნდა და ამ კითხვის ზნეობრივ მხარეში ჰპოულობდა ჩვენი მწერალი მოქმედების და წერის საფუძველს. სანამ ავტორი ადგა თავის დამოუკიდებელ ეროვნულ პროგრამას, ჩვენი მისდამი თანაგრძნობა სრული და შეურყეველი არის და იქნება. ხოლო იქ, საცა ავტორს თითქოს რაღაცა ყოყმანი და გაუბედავობა დაეტყო, იქ სწყდება ჩვენ შორის შემყრელი მავთული. ჩვენ ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ ძველ და ახალ თაობას, ილია ჭავჭავაძის მეოხებით, გამორკვეული დარჩ საერთო მოქმედების ასპარეზი და ეს სწორედ ის ასპარეზია, – ნაყოფი პოლიტიკურ ცხოვრებისა, – რომელზედაც თავისუფლად მოთავსდებიან ძველის, ახლის და მომავალ თაობის წარმომადგენელნი. ჩვენ ვამბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუდო საძირკველი და თუ ამ ბოლო ხანებში ჩვენმა მწერალმა თითქოს აუხვია თავისივე ფეხით გათელილ ბილიკს, ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. ვიქონიოთ სრული პატივი იმისი, რაც პატივსაცემია, ხოლო ნუ შევდრკებით და თამამათ გამოვცალოთ ჩვენს მწერალს იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან. ამას გვაკადებს ცხოვრება, ძველი თაობის ანდერძი, ილია ჭავჭავაძის მიერ გამორკვეული ეროვნული იდეალი. ახალი თაობა თავის დანიშნულებას მხოლოდ მაშინ ასრულებს, როდესაც სამართლიანად დაფასებს და განმარტავს ძველ თაობის ნანდერძევს, ქართულ ვინაობას აღადგენს და ეროვნებას წარმატებისთვის გამოსადეგ იარაღად გადაქცევს. ხოლო ყველა ამისათვის, ცოდნის და ცხოვრების ერთგვარ განმარტების გარდა, საჭიროა მხნეობა და გაბედულება, რასაც იჩენდა ჩვენი ავტორი პირველ ხანაში.

გ). გამოაშკარავდა, რომ უმთავრესი საგანი ჩვენის უთანხმოებისა ეკონომიკური ნიადაგია. ჩვენი ავტორი წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან ჰგონია, რომ ამ წყობილების დაურღვევლად შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა. ჩვენ კი გვგონია, რომ საერთო კეთილდღეობა მოითხოვს ახალ საზოგადოების დაფუძნებას, იმგვარ საზოგადოებისა, რომლის არსებობა შრომაზედ იქნება დამყარებული და ამისათვის, რაც უფრო მალე დაირღვევა ჩვენებური წოდებრივ ურთიერთობაზედ აშენებული საზოგადოებრივი აგებულება, იმდენად მეტს მოიგებს ჩვენი ხალხი და ჩვენს ეროვნებასაც უფრო მკვიდრი შეურყეველი ნიადაგი ექნება საფუძვლად.

დ). ილია ჭავჭავაძეს არა აქვს მკაფიოდ დაყენებული დემოკრატიული პრინციპი. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ის შეურიგებელი მტერია დემოკრატიზმისა, არც ისა ვამბობთ, რომ ხალხის მტერია ჩვენი ავტორი – ჩვენ ვნახეთ, რომ ჭავჭავაძე მუდამ ხალხის კეთილდღეობის ზრუნვასა და ფიქრშია. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ის ფარ-ხმალი, რომლითაც ესარჩლება ავტორი ხალხს, ომში გამოსადეგარია, რადგან არა ჰკლავს ნამდვილ მიზეზს ხალხის დაქვეითებისას და ძირიანფესვიანად არ არღვევს წოდებათა შორის ქონებრივ უთანასწორობას, ახალმა თაობამ, თუ რაიმე მომავლის იმედი აცოცხლებს, უნდა აიცილოს ეს შეცდომა და თუ ხალხთან ერთად ჰსურს მოქმედება, უნდა დემოკრატიულ ნიადაგზედ აშენოს ეროვნული კეთილდღეობა."

როგორც ვხედავთ, არჩილ ჯორჯაძემ მისთვის საინტერესო ყველა კითხვას უპასუხა და თავისი პოზიცია ილია ჭავჭავაძის ნაზრევის მიმართ სრულიად აშკარად გამოსატა. გარკვევით უნდა აღინიშნოს, ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური შეხედულე-ბები ასე ღრმად და საფუძვლიანად 1901 წლამდე არავის განეხილა. არჩილ ჯორჯაძის ვრცელი წერილი, ფაქტობრივად, მეცნიერული გამოკვლევაა, მის მნიშვნელობას სულაც არ აკნინებს ის, რომ არჩილ ჯორჯაძე ილია ჭავჭავაძეს ბევრ საკითხში პრინციპულად არ ეთანხმება. გადაჭრით არ შეიძლება იმის თქმა, თუ რატომ არ გამოაქვეყნა 1901 წელს ან მომდევნო პერიოდში ავტორმა წერილი „პუბლიცისტი – ილია ჭავჭავაძე". იქნებ ახალგაზრდა არჩილ ჯორჯაძეს მის მიერ ღვაწლმოსილი, ბრძოლებით დაღლილი ერისკაცის ნაზრევის კრიტიკული შეფასება ზედმეტად მკაცრად მოეჩვენა? ყოველ შემთხვევაში, 1901 წლის შემდეგ არჩილ ჯორჯაძეს ილია ჭავჭავაძის ნაზრევისა და ნაღვაწის ვრცელი კრიტიკული შეფასება აღარ წარმოუდგენია, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა წერილში მის შეხედულებებსაც ეხებოდა. ასე გავიდა 11 წელი.

* * *

არჩილ. ჯორჯაძე

გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1912 წელს, არჩილ ჯორჯაძემ ილია ჭავჭავაძეს კიდევ უფრო ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა: **„ძირითადი მოტივები ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკისა (კრიტიკული განხილვა)".** ნაშრომის გამოქვეყნებას ავტორი ვეღარ მოესწრო. შემორჩენილი ხელნაწერის მიხედვით, ეს უაღრესად საინტერესო გამოკვლევა ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის დაგვიანებით დაიბეჭდა და ისიც არასრულად. ამ ნაშრომმა ბევრ რაიმეს მოჰფინა ნათელი. ცხადი გახდა, თუ როგორ შეიცვალა არჩილ ჯორჯაძის დამოკიდებულება ილია ჭავჭავაძის ნაზრევისადმი. არჩილ ჯორჯაძემ ბევრ საკითხში უკან დაიხია და რაც ილია ჭავჭავაძის შეხედულებებში 1901 წელს მიღებულად მიაჩნდა, ამჯერად სავსებით გაიზიარა.

არჩილ ჯორჯაძე თავის გამოკვლევაში რამდენიმე საკითხზე ამახვილებს ყურადღებას, ნაშრომი თავად არის დაყოფილი.

ავტორი პირველ საკითხად ილია ჭავჭავაძის **„აზროვნების ხასიათს"** გამოყოფს. მოვიხმობთ რამდენიმე ამონარიდს ნაშრომის ამ ნაწილიდან:

1. *„ილია ჭავჭავაძის აზროვნება რეალისტური ხასიათისა. მისი გონება დასტრიალებს ამ ქვეყნიერებას და „სავანთა სამეფო" არის ასპარეზი მისი ვარჯიშობისა, ხოლო ამ ქვეყანაში მას აინტერესებს არა მარტო ის, რაც არის, არამედ ისიც, რაც უნდა იყოს. რეალიზმი ჭავჭავაძისა მატერიალური მიმართულებისა არ არის, პირიქით, იგი ხშირად რომანტიულ-იდეალისტურ სამოსელით იმოსება."*

2. *„ფილოსოფიაში ილია თითქოს პოზიტივისტია. იგი გაურბის საიდუმლოებას და ბუნდოვანებას. მას უყვარს ხილული და ხელშესახები საგანი. მუწოდმელი სიდიადეც მას არ ხიბლავს. თავის „მგზავრის წერილებში" იგი გულგრილი რჩება მყინვარის წინაშე. „განზედ გამდგარა, მიუკარებელია. არ მიყვარს არც მგისთანა სიმაღლე, არც მგისთანა განზედ გადგომა, არც მგისთანა მიუკარებლობაო". ჩვენი ავტორი გაურბის აგრეთვე გაურკვევლობას და – ნისლით მოფერილ არე-მარეს."*

3. *„ილიას, როგორც რეალისტ-იდეალისტს, კარგად ესმოდა, „რომ ქვეყანაზე ზოგი იმისთანა საგანია, რომ თუ არ დაინახე, ვერ ირწმენ, და ზოგიც იმისთანა, რომ თუ არ ირწმუნე, ვერ დაინახავ. ცისა და ცას იქითო სწორედ იმისთანა ადგილებია მაქებარ გონებისათვის, რომ თუ არ ირწმუნე, ვერას დაინახავო". (კრიტიკული წერილები. ნიკოლოზ ბარათაშვილი). მგრამ მას მტკიცედ ახსოვდა, რომ აქ, ამ სფეროში, ადამიანის გონება უძლურია და რომ კაცობრიობის გული მოღლილია აზრის დაუსრულებელი ქცევა-ბუნებით."*

4. *„ბევრს ეუცხოვება ეს აზრი, ვითამ ილიას აზროვნება ანტირელიგიური ხასიათის ყოფილიყოს. ყველას წაკითხული აქვს ილიას წერილები სარწმუნოების და ეკლესიის შესახებ. მას მართლაც ბევრჯელ ულაპარაკია ამ საგანზე. მიუხედავად ამისა, იგი, როგორც სხვა ბევრი ჩვენი მწერალი, რელიგიას სრულიად გარეგნულად აღიარებდა. მე არ ვხედავ ილიას ნაწერებში რელიგიურ მსოფლმხედველობას. არსადა სჩანს, რომ ჩვენი მწერალი ჭრმნობდეს საიდუმლო კავშირს უხილავს ძალასთან, არსადა სჩანს ამ კავშირიდან გამომდინარე ერთგვარი ზნეობრივი მოძღვრება, რომლის ძალით ადამიანი ხდება ღვთის ნების მორჩილ აღმასრულებლად. ილიას ერი წარმართულია. მის გონებას ცოდვის კონცეპცია არ ეგუება. და იქ, სადაც ცოდვის გრძნობა არ არის, არ არის აგრეთვე გრძნობა მორჩილებისა და არარაობისა მსოფლიოს საკრებულოს წინაშე."*

ნაშრომის მეორე ნაწილში: *„ორ მსოფლმხედველობის შეფასება"– არჩილ ჯორჯაძე არკვევს XIX საუკუნის 60-ანი წლების დამდეგიდან საქართველოში მიმდინარე იდეური ბრძოლის ხასიათს, ორი მსოფლმხედველობის შეჯახებას. ისევ მოვიხმობთ ამონარიდებს:*

1. „ახლა-კი ვეკითხოთ; რამ ააშფოთა ამ დროინდელ მწერალთა საზოგადოება და რა სთქვა ილიამ იმისთან, რომ დღეს, სამოცი წლის შემდეგ ღირდეს ამ ეპიზოდის შესახებ ლაპარაკი. საქმე კი სწორედ იმაშია, რომ ჩვენს წინ მოხდა შეჯახება ორ მსოფლმხედველობისა: თეოლოგიურ-სქოლასტიკურისა და ახლად წარმოშობილ ჩვენს საზოგადოებრივ აზროვნებაში პოზიტივურ-რეალისტურისა. რეალისტურმა აზროვნებამ აქ იდღესასწაულა თავისი პირველი გამარჯვება. მოხდა სულ უბრალო, ხოლო ჩვენთვის დიდმნიშვნელოვანი საქმე. ილიამ დანახვა ქართველ საზოგადოებას, რომ, თანახმად პოზიტივურის აზროვნებისა, სიტყვა გარეგანი სამოსელია აზროვნებისა და რომ აზრი აძლევს სიტყვას ხორცსხმულობას და შინაარსს. დღეს ამ საგანზედ გრძლად ლაპარაკი მეტია, მგრამ ის დრო სხვა დრო იყო. ახლად გამოღვიძებულ ქართველთა აზრს ჯერ კიდევ ეტყობოდა წარსულ საუკუნოების სქოლასტიურ აზროვნების ელვერი."

2. „დაკანონა რა თავის წერილში ის აუცილებელი მცნება, რომ სიტყვა გარეგანი სამოსელია აზრისა, ილიამ გაანთავისუფლა ქართული აზროვნება სქოლასტიურ ტყვეობისაგან, გზა გაუხსნა კრიტიკულ მსჯელობას და ერთხელ და სამოლოოდ უკუაქცია წარსულიდან მემკვიდრეობით გადმოცემული ლიტერატურული უგნურება."

(გაგრძელება იქნება)
ვახტანგ გურული
(საქართველოს ახალი ისტორია, ტ.4. გვ.54-57)

გაგრძელება დასაწყისი „ალიონი №19-21“ 2024წ. №1,2,4-72025 წ.

ბახმაროში წასვლა მინდა...

(კურორტის სახელწოდებისა და სხვა ტოპონიმების წარმომავლობის კვალდაკვალ)

ბახმარო მეტად გამორჩეული მაღალმთიანი კურორტია, სადაც ზღვისა და მთის ჰაერი ერწყმის ერთმანეთს, რითაც ქმნის უნიკალურ კლიმატურ გარემოს. ის წარმოადგენს ერთგვარ ქვაბულს, რომელიც გარშემორტყმულია ნაძვისა და სოჭის მარადმწვანე ტყეებით.

კურორტი ბახმარო მდებარეობს გურიაში, მესხეთის ქედსა და მდინარე ბახვისწყლის ხეობაში, ტყის ზონის ზემო ნაწილში. მეტად საინტერესოა, საიდანაა წარმოშობილი სახელწოდება „ბახმარო“, რის შესახებაც ცნობილია საინტერესო ლეგენდა-გადმოცემები. ამავე დროს, დიდხანია მკვლევარების მიერ გამოთქმულია სხვადასხვა მოსაზრებები.

ჩვენი აზრით, არცერთი ეს განმარტება არ შეეფერება სინამდვილეს. უნდა აღინიშნოს და ამთავითვე გასათვალი-სწინებელია ის გარემოება, რომ ბახმარო მდებარეობს ისტორიული კოლხეთის ტერიტორიაზე, კერძოდ, მის შუაგულში, რადგან სახელწოდება „გურია“ ზანურად (კოლხურად) სწორედ „შუაგულ ადგილს“ ნიშნავს.

მკვლევართა სამართლიანი დაკვირვებით, ეს სახელწოდება ორი სიტყვის ნაერთია. ოღონდ ეს სიტყვები ერთ-ძნიშვნელოვნად ზანური (კოლხური) წარმომავლობისაა.

1. „ბახმარო“:

ბახია - ბრახუნა, ხმაურიანი; მალუ - მდინარი, მედინი.

როგორც ჩანს, ის ჰიდრონიმი იყო და ეწოდებოდა დღევანდელ მდინარე „ბახვისწყალს“, რომელსაც შემორჩენილი აქვს ფონეტიკურად მცირეოდენ განსხვავებული ფორმით პირველი სიტყვა („ბახია“ /„ბახვი“). ბუნებრივია, ამ სახელწოდებამ საკუთრივ ტოპონიმის მნიშვნელობა უფრო მოგვიანებით შეიძინა. სავარაუდოდ, ეს არაბობის ხანაში უნდა მომხდარიყო, როცა მესხეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა გადავიდა გურიის ტერიტორიაზე, რამაც, შესაბამისად, სრულიად კონკრეტული დემოგრაფიული და გარკვეული ენობრივი სახეცვლილებები განაპირობა.

რთული და ურთერთწინააღმდეგობრივი ისტორიული ვითარების გამო სახელწოდება „ბახმარო“ დღესდღეობით ხალხში ფართოდ გავრცელებული ლეგენდების საბურველში გაეხვია, რადგან დავიწყებას მიეცა მისი თავდაპირველი მნიშვ-ნელობა - „ხმაურიანი მდინარე".

აღსანიშნავია, რომ ბახმაროს ტერიტორიაზე შემორჩენილია სხვა არაერთი ზანური (კოლხური) ტოპონიმი.

2. „ლიჩხი“ - ესეც ორი სიტყვის ნაერთია:

ლია - მოვარდნილი და დაგუბებული წყალი; ჩხია - ჩქერალი, ჩანჩქერებიანი ადგილი.

3. „უჩხუბი“ - ასევე ორი სიტყვისაგან შედგება:

უჩა - შავი, მუქი; ხობი (იხ. ხოფი) - ჩაღრმავებული, ღრმა ადგილი.

4. „კვანჭალა“:

კვაჭალია - პატარა მინდორი ტყეში.

5. „ფაფარა“ (მთა და მცირე მდინარე):

ფაფალა - ფრიალო, ქანობი, დიდი დაქანება, ქარაფი; კლდოვანი, დაცერებული ნაპირი მდინარისა.

ამდენად, წარმოდგენილ დაკვირვებათა ისტორიულ-ეტიმოლოგიური კონტექსტები, რომლებიც ზედმიწევნით შეესატყვის-ება მაღალმთიანი მხარის გეოგრაფიული გარემოს მრავალფეროვან რელიეფს, თვალსაჩინოდ წარმოაჩენს გურიის აღნიშნული კურორტის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ჰიდრო-ტოპონიმთა მეტად მნიშვნელოვან და ერთობ საგულისხმო თავისებურებებს.

ლადო ჭელიძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, პროფესორი

თემურ ჩხაიძის საიუბილეო ტურნირი ფეხბურთში

დასრულდა ლანჩხუთის „გურიას“ ლეგენდარული კაპიტნისა და საუკუნის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებული **თემურ ჩხაიძის** 70 წლის იუბილესადმი მიძღვნილი ტურნირი ფეხბურთში 2011-12 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის.

შეჯიბრი გურიის რეგიონალური ფეხბურთის ფედერაციის პატრონაჟით გაიმართა, მას მხარდაჭერას უწევენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდი და ლანჩხუთის მერია. წლევანდელ გათამაშებას სპონსორული დახმარება გაუწია „ტრენაჟორების სახლმა“.

ტურნირში 4 რეგიონის გუნდი იღებდა ტურნირში მონაწილეობას – გურიას ამავე სახელწოდების ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის გუნდი წარმოადგენდა, სამეგრელოს – ზუგდიდის „ბაია“, აჭარიდან იყო ქობულეთის „ჩელე“, ხოლო იმერეთიდან – ქუთაისის „მართვე“.

ტურნირზე ლანჩხუთელებმა „ჩელე აკადემია“ დათა ღლონტის მიერ მატჩის დასაწყისშივე (მე-5 წუთზე) გატანილი გოლით დამარცხეს 1:0, ხოლო „ბაიმ“ 4:1 მოუგო ქუთათურებს. მესამე ადგილისთვის მატჩი გაიმართა – „მართვემ“ ქობულეთელებს 2:1 მოუგო და საპრიზო ადგილს დაეუფლა.

28 აპრილს მთავარი პრიზისათვის გურულ-მეგრული დაპისპირება გაიმართა, სადაც ლანჩხუთის საფეხბურთო სკოლის გუნდი პირველივე წუთზე გიორგი რუსიეშვილის გოლით დაწინაურდა. მალევე სბა ხურცილავამ გურულების უპირატესობა სოლიდური გახადა. ზუგდიდელებმა მხოლოდ ერთი გოლით უპასუხეს, „გურიამ“ 2:1 მოიგო და ლეგენდარული კაპიტნის საიუბილეო ტურნირის თასიც! (მწვრთნელები – შაქრო ბარამიძე, ავთანდილ ნარიაშვილი).

გამარჯვებულებს თასები და სიგელები გადასცეს, ასევე საუკეთესო მოთამაშეები დაჯილდოვეს **თავად თემურ ჩხაიძემ**.

ნაზი მშვიდობაძე – 90!

ქალბატონო ნაზი, კრძალვით გილოცავთ განსაკუთრებულ იუბილეს – დაბადებიდან 90 წლის ღირსეულად შესრულებას.

გვინდა მადლობა გადაგიხადოთ იმ ფასდაუდებელი ღვაწლისათვის,უანგარო და სამაგალითო შრომისათვის, რასაც თქვენ ათეული წლების მანძილზე ეწეოდით ლიხაურის საჯარო სკოლაში, ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების აღზრდის საქმესა და პროფკავშირულ საქმიანობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის..

ჯანმრთელობა, ულევი სითბო, სიყვარული და ბედნიერება იყოს თქვენი ცხოვრების თანამდევი. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეთ

პატივისცემით **როზა გოგუაძე**

მე ვიცი ჩემი ქუჩის ისტორია

მე ვარ სანდრო სალუქვაძე 12 წლის ,ვსწავლობ ოზურგეთის № 2 საჯარო სკო-ლაში ვარ მეექვსე კლასის მოსწავ-ლეგასულ წელს ოზურგეთის ისტორიულმა მუზეუმმა გამოაცხადა კონკურსი.

როცა გავიგე კონკურსის შესახებ „მე ვიცი ჩემი ქუჩის ისტორია“ დავინტერესდი ჩემი ქუჩის ისტორიით რომელიც მსახიობ **სანდრო (ალექსანდრე) ჟორჟოლიანის** სახელს ატარებს. დახმარებისათვის ჩემს ბებიას გუგულის მივმართე. ჩემი ბებია გუგული გოგუა ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი ახლა 90 წლისაა. ამ ქუჩაზე ცხოვრობს 56 წელია აი რა მიამბო მან: „გასული საუკუნის 90-იან წლებამდე ჩვენ ქუჩას ერქვა სახელოვანი და სასიქადულო პოეტის შოთა რუსთაველის სახელი და ეს ჩვენ ამ ქუჩის მაცხოვრებელს ძალიან გვეამაყებოდა (უფრო ადრე კი კვირიკეთის ქუჩის შესახვევი იყო).

როგორც მამამ მითხრა, შოთა რუსთაველის ჩვენამდე მოღწეული ერთადერთი პოემა „ვეფხისტყაოსანია“, რომელშიც გამოხატულია ქართველი ერის უმაღლესი იდეალები. სიტყვა „რუსთაველი“ უკავშირდება გეოგრაფიულ პუნქტს – რუსთავს და ნიშნავს რუსთავის მკვიდრს. რუსთაველი ყოფილა თამარ მეფესთან დაახლოებული პირი. გამოთქმულია მოსაზრება, რომ შოთა რუსთაველი სიცოცხლის ბოლო წლებში გაემგზავრა იერუსალიმს და იქვე აღესრულა. გადმოცემით პოეტი მესხი უნდა ყოფილიყო.

ბებოს გადმოცემით გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა შეიცვალა ქუჩების სახელწოდებები, რატომღაც საჭიროდ ჩათვალეს შოთა რუსთ-ველის სახელი ქალაქის ცენტრალური ქუჩისათვის დაერთქმათ. ჩვენი ქუჩის მოსახლეობას ძალიან სწყენიათ ეს ფაქტი. მაგრამ წყენა მალე დაივიწყეს თურმე რადგან ჩვენმა ახლო მეზობელმა აწ განსვენებულმა დომენტი მჟავიამ დააყენა საკითხი ჩვენი ქუჩისათვის იმ კაცის სახელი ეწოდებინათ, რომელიც დაიბადა და გაიზარდა ამ ქუჩაზე და ეს გახლდათ სანდრო (ალექსანდრე) ჟორჟოლიანი, ცნობილი ქართველი თეატრისა და კინოს მსახიობი.

ალექსანდრე ჟორჟოლიანის ქუჩა იწყება ნინოშვილის ქუჩის მარჯვენა მხრიდან ყოფილი სკოლა ინტერნატის სასწავლო კორპუსიდან (ახლანდელი „მედალფა“) და გრძელდება სერგო ქობულაძის ქუჩის კვეთამდე.

ამ ქუჩაზე 1888 წლის 12 იანვარს დაიბადა ალექსანდრე (სანდრო) მაქსიმეს ძე ჟორჟოლიანი, ქართული თეატრისა და კინოს გამოჩენილი მსახიობი. თუ რამდენი წელი გაატარა ოზურგეთში ჩემთვის უცნობია . მის ბიოგრაფიაში ამოვიკითხე, რომ 1911 წელა დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტი.შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ბაქოსა და თბილისში. ბავშვობიდან გატაცებული ყოფილა თეატრით, პირველ ხანებში ალექსანდრე წუწუნავას მიერ ბათუმში დაარსებული დრამატული დასის წევრი ყოფილა, შემდეგ გახდა რუსთაველის თეატრის მსახიობი.

1928 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია.

მე სანდრო ჟორჟოლიანს ვიცნობ ფილმებიდან: „ ჭრიჭინა“ და „მე, ბებია , ილიკო და ილარიონი“. ეს ფილმები ჩემს მამიდასთან ერთად ვნახე და მაგრად ვიხალისე. გუგლის დახმარებით კი გავიგე, რომ სანდრო ჟორჟოლიანს ოჯახი 42 წლის ასაკში შეუქმნია. დაქორწინებულა მშვენიერ პოლონელ პიანისტზე, დედით ქართველ ქალბატონზე ირინა ორეხოვსკაიაზე, შეეძინათ გოგონა დინარა. დინარა ჟორჟოლიანი თამაშობდა კინო ფილმ „ოთარაანთ ქვრივში“.თავადის ქალს-კესოს და ფილმში „პიერი-ბილიციის თანამშრომელი“. დღეისათვის დინარა ჟორჟოლიანი ვაშინგტონის ცენტრალურ უნივერსიტეტში რუსულ ენასა და ლინგვისტიკას ასწავლის. გუგლში ამოვიკითხე ასვე დიდი ქართველი მსახიობის სესილია თაყაიშვილის მოგონება::

„ყოველი ჩვენი გამოსვლა ესტრადაზე – ჩხუბით იწყებოდა და ჩხუბითვე მთავრდებოდა, სანდროს ეჩვენებოდა, რომ მე უფრო სასაცილო სიტყვები მქონდა ტექსტის მიხედვით, ვიდრე მას და ამაზე ამხირდებოდა, მეც არაფერს ვუთმობდი, თქვენ წარმოიდგინეთ ასეთ „ნერვებაშლილ მდგომარეობაში“ მანც ვახერხებდით, რომ დღეში ზოგჯერ ხუთი კონცერტი ჩაგვეტარებინა. მე არ შემხვედრია ისეთი პოპულარული მსახიობი,როგორიც სანდრო იყო –მისი გამოჩენა და გაუჩინარება ყოველთვის ტაშის გრიალში მიმდინარეობდა.რაც არ უნდა „დაგვეჭამა“ ერთმანეთი, სანდრო ჟორჟოლიანის გვერდით ყოფნა, სცენაზე იწნებოდა ეს, ფილმში, თუ ესტრადაზე – შინაგან ძალასა და რწმენას მმატებდა, იმიტომ,რომ ის დიდი მსახიობი იყო“.

ისიც გავიგე, რომ ჩვენთან მეზობლად ცხოვრობს ბატონი გივი გორგოშიძე 91 წლის და მისი და სვეტა 85 წლის. მათი მამა ნიკოლოს იგივე კუკურის ნათლია ყოფილა ბატონი სანდრო ჟორჟოლიანი. გივი გოგგოშიძის გადმოცემით, „ მამაჩემი მოზრდილი ბიჭი ყოფილა ასე 10-12 წლის, როდესაც ექადიის წმინდა გიორგის ეკლესიაში მოუნათლავს სანდრო ჟორჟოლიანს“.ექადიის ეკლესია ამაყად დგას და დღესაც მაღლიდან გადმოყურება ჩვენს უბანს.

მეუბნებიან, რომ სანდრო ჟორჟოლიანი იყო რაინდული სისპეტაკის მქონე დიდი ქართველი მოქალაქე, რომელიც უყვარდათ და ახლაც უყვარს ქართველ მაყურებელს..

სანდრო ჟორჟოლიანს 1938 წელს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტიტის წოდება. 1942 წელს საქართველოს სახალხო არტისტის წოდება.

დაჯილდოებული იყო 2 შრომის წითელი დროშის ორდენით და მედლებით. გარდაიცვალა 1969 წლის 24 ივნისს. დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მეამყება, რომ მე ვცხოვრობ იმ ქუჩაზე, რომელიც ატარებს ისეთი გამოჩენილი ადამიანის სახელს, როგორიც სანდრო ჟორჟოლიანი გახლდათ.

სანდრო სალუქვაძე,
ოზურგეთის №2 საჯარო სკოლის
მეექვსე კლასის მოსწავლე

მზე, +13+24	მზე, ღრუბელი +12+23	მზე, ღრუბელი +14+25	მზე, ღრუბელი +15+26	მზე, ღრუბელი +10+18	მზე, ღრუბელი +15+20	წვიმა +12+22
7 მაისი	8 მაისი	9 მაისი	10 მაისი	11 მაისი	12 მაისი	13 მაისი
ოთხშაბათი	ხუთშაბათი	პარასკევი	შაბათი	კვირა	ორშაბათი	სამშაბათი